# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 145

„10" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ვაკის რაიონში ილია ჭავჭავაძის გამზირის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კოკა კლდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №50 ბ კორპუსის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული კოკა კლდიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6)

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


ილია ჭავჭავაძის გამზირი
კოკა კლდიაშვილის
სახელობის სკვერი
ლადო კავსაძის ქუჩა
ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა